დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N8

27.12.2019 წელი ქ.დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2019 წლის 27 დეკემბერს 11 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე; კახა პეტრიაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები;

1: კახა პეტრიაშვილი

2: ფაიგ ისმაილოვი

3: რამიზ რამაზანოვი

4: ქამრან ხიდიროვი

5. თორნიკე ნინიაშვილი

კომისისის სხდომას ესწრება კომისიის 5 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი
   1. მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილი
2. „დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივლისის დადგენილებაში N18 ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი
   2. მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილი

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. მოისმინეს:

კახა პეტრიაშვილი -1 . „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოგახსენებთ, დმანისის მერიის თანამშრომლებს ემატება რანგი ერთი საფეხურით რაც საჭიროებს დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

1. აზრი გამოთქვა: თორნიკე ნინიაშვილმა

2. მოისმინეს:

კახა პეტრიაშვილი -2. „დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივლისის დადგენილებაში N18 ცვლილების შეტანის თაობაზე მოგახსენებთ.რომ დადგენილებას დაემატა შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 მუხლები:

„მუხლი 3^1

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტი ნასყიდობის ხელშეკრულება თანახმად დანართი №4-სა.

მუხლი 3^2

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი და სხვა) გადაცემისას ელექტრონული (პირობით/უპირობოდ) აუქციონის გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი დანართი N5-ის შესაბამისად.

2. აზრი გამოთქვა: ქამრან ხიდიროვმა

კომისიამ **გადაწყვიტა;** საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე; კახა პეტრიაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი